საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 55

ქ. თბილისი 30.11.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სხდომის მდივანი;
დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მაღტვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
გიორგი მათიაშვილი - რექტორი
მაია უკლება - რექტორის მოადგილე
ვაჟა ხუჭუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ლალი ჩაგელიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
გელა ალადაშვილი - ფაკულტეტის დეკანი
სიმონ თავართქილაძე - კათედრის გამგე

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
დავით ჯალაღონია - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
მარინე ხუბუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნინო ხარებავა - ასოცირებული პროფესორი
ირმა დიხამინჯია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
დევი შონია - ასოცირებული პროფესორი
გიორგი ბერულავა - პროფესორი
ლარისა თაკალანძე - პროფესორი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი
გიორგი პაპავა - ბიზნესის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სოფიო ლებანიძე - ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელი
ნინო დოლიძე - ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილე
მარიამ კიკნაველიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ანა თოფურია - ბიზნესის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
თინიკო ჭინჭარაული - სპეციალური განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ნინო გოგიჩაძე - სპეციალური განათლების პროგრამის ხელმძღვანელი

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
მურთაზ კვირკველია - ფაკულტეტის დეკანი
თამარ გამზარდია - ბიზნესი ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
ვასილ კიკუტაძე - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

გოჩა თუთბერიძე
მარინე ჩავლეიშვილი
დავით ბურჯანაძე
ნათია დაღელიშვილი
ანა მიხელიძე
თეა კასრაძე
თამუნა იმნაძე
რუსუდან სეთურიძე
ბექა მარუაშვილი
ანა გვრიტიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე. სხდომას არ ესწრებოდნენ საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს სხდომის თავმჯდომარედ ლევან გორდეზიანის კანდიდატურას. მისი კანდიდატურა ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ. აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ნათელა სახოკიას.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების საგანმანათლებლო

პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი.

შესაბამისად, წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში 0202 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203 3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვასილ კიკუტაძე სხდომაზე ჩაერთვებოდა სკაიპის მეშვეობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, წინა აკრედიტაციის შემდეგ პროგრამა განვითარდა და გათვალისწინებული იყო შენიშვნები და რეკომენდაციები, აქედან გამომდინარე მძიმე შენიშვნები არ ყოფილა. შემდეგ მან საბჭოს გააცნო ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- მოდულში მენეჯმენტი სასწავლო კურსის „პრაქტიკული მენეჯმენტის“ დამატებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს განავითარონ მენეჯმენტის პრაქტიკული უნარები;
- სასწავლო კურსების: „მიკროეკონომიკა, „მაკროეკონომიკა“, ,,მენეჯმენტის თეორია“ და ,,ბიზნესის თეორია“ სახელწოდებების კორექტირების საჭიროებას შემდეგნაირად: „მიკროეკონომიკის პრინციპები“, „მაკროეკონომიკის პრინციპები“; ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ და ,,ბიზნესის საფუძვლები“;
- ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობის დაზუსტებას, მაგალითად სასწავლო კურსებისათვის: „PR მენეჯმენტი“, „პროექტების მართვა“ წინაპირობად „მენეჯმენტის საფუძვლების“ განსაზღვრას, სასწავლო კურსების „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და „მონაცემთა ბაზის საინფორმაციო სისტემები“ წინაპირობად „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ განსაზღვრას, ხოლო სასწავლო კურსის „კონკურენტული სტრატეგიები“ წინაპირობად ,,ბიზნესის საფუძვლებისა“ და ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ განსაზღვრას;
- სასწავლო კურსის შინაარსისა და გამოყენებული ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურსების: „კონკურენცია“ (არჩევითი კურსი) და „კონკურენციული სტრატეგიები“ (სავალდებულო კურსი) ერთ სასწავლო კურსად გაერთიანებას;
- სასწავლო კურსების („პრაქტიკული მარკეტინგი“, „სოციალური მარკეტინგი“, „მომსახურების მარკეტინგი“), სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლებას თანამედროვე, მათ შორის, ინგლისურენოვანი ლიტერატურითა და სალექციო მასალებით;
- უნივერსიტეტის მიერ მეტი გასვლითი ლექციების ორგანიზების პერიოდულ უზრუნველყოფას სხვადასხვა ორგანიზაციებში ან სპიკერების მოწვევას წარმატებული კომპანიებიდან ღია ლექციების, მასტერკლასების ჩასატარებლად;
- უსდ-ს მიერ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის გაზრდასა და ხელის შეწყობას მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის.

ექსპერტის ჩართვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ. ექსპერტებს არ სურდათ რაიმეს დამატება, რის შემდეგაც სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად ეთანხმება იმ ძირითად მოსაზრებებს, რომელიც ექსპერტებმა გამოთქვეს. მისი შენიშვნით, არსებითი გაუთვალისწინებელი არაფერია ამ პროგრამასთან დაკავშრებით, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებს მაინც სურდათ ზოგიერთ საკითხზე ყურადღების გამახვილება და აზრის გამოთქმა.

პრაქტიკული მენეჯმენტის ბლოკის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ცალკე არ არსებობს პრაქტიკული მარკეტინგის კურსი, თუმცა მისი თქმით ხორციელდება

დაწყებითი სტარტაპი და შემდეგ პროექტების მართვა. ასევე, მისი თქმით უნივერსიტეტს დამატებით აქვს მესამე ელემენტი, ეს არის ლაბორატორიაში სწავლება მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების სტუდენტებისთვის. მისი თქმით, აქ სტუდენტები ცვლიან როლებს სხვადასხვა მენეჯერისა და ასეთი ტიპის სწავლებაში ისინი გამოიმუშავებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე მისი თქმით, უნივერსიტეტი ხშირად ახორციელებს სტუდენტების მიერ შემოთავაზებულ იდეებსაც. მისი თქმით, ეს არის რეალური პრაქტიკა. რომელიც ითვალისწინებს მრავალმხრივ ფაქტორებს, ფინანსური მდგრადობის ჩათვლით. მისი თქმით, დაწესებულება კიდევ იმსჯელებდა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებელია სტუდენტებმა კარგად ვერ ჩამოაყალიბეს ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი ვიზიტის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო ექსპერტთა რჩევას, „ევროპული ინტეგრაციის კურსში" სალექციო და სასემინარო საათების 1/2 თანაფარდობის ნაცვლად 1/1 თანაფარდობის შემოტანის შესახებ. მისი თქმით, ეს კურსი ხორციელდება ვიშეგრადის გრანტით უკვე 3 წელია. მან აღნიშნა, რომ თავად ამ გრანტის ჩარჩოშია განსაზღვრული 1/1 თანაფარდობა, თავად დაწესებულება კი ეთანხმებოდა ექსპერტებს ამ საკითხთან დაკავშირებით. შემდეგ ის შეეხო გასვლითი ლექციების ნაწილს. მისი თქმით, ეს ნაწილი პროგრამაში წარმოდგენილია სოლიდურად. მან აღნიშნა, რომ ყველა პრაქტიკულ კურსში მოცემულია გასვლითი ლექციები და რომ დაწესებულებას ბევრ კომპანიასთან აქვს კავშირები და სემესტრში რამდენიმეჯერ ეწყობა გასვლები.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ იყო ნახსენები დასკვნაში სიტყვა „ლექცია" გასვლით აქტივობებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულება ახორციელებს გასვლით სემინარებს და არა ლექციებს. მან დაამატა, რომ გაჟღერებული საკითხების გარდა დაწესებულება ექსპერტებს ყველაფერში ეთანხმებოდა.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, თუ რა კვალიფიკაციას იღებდა კურსდამთავრებული პროგრამის დამთავრების შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებული გახდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი პროგრამის 3 მოდულიდან ერთ-ერთში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, თუ რა რაოდენობის აკადემიური პერსონალი იყო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ჰყავდათ 27 აკადემიურ პერსონალი.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ შენიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ძალიან დიდი რაოდენობით საგნები და გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია უნივერსიტეტს არ

ჰყოფნიდეს ადამიანური რესურსი ამ რაოდენობის კურსებისათვის და იკითხა, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, რომ დაწესებულებას შეემცირებინა საგნების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არჩევით საგნებში შეზღუდვა იყო სტუდენტების რაოდენობაზე. ასევე, მან დაამატა, რომ საგნებიდან 2/3 იყო არჩევითი კურსები.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ შენიშნა, რომ რთული იქნება ხარისხიანი პერსონალის შენარჩუნება ამდენ საგანზე. მან ასევე, შენიშნა, რომ დაწესებულება ხშირად იყენებდა ტერმინოლოგიაში თეორიებს და ურჩია, რომ კარგი იქნებოდა, თუ თეორიული და პრაქტიკული ნაწილები გაერთიანდებოდა მთელ რიგ საგნებში.

საბჭოს წევრს დიმიტრი ჯაფარიძეს ჰქონდა შენიშვნა ფინანსების მოდულში საგნების მიმდევრობის შესახებ. მან შენიშნა, რომ კორპორაციული ფინანსების კურსი უსწრებდა ფინანსურ აღრიცხვას და იკითხა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა ფინასურ აღრიცხვას მოსდევდეს კორპორაციული ფინანსები. ასევე, მან დასაზუსტებლად იკითხა, იყო თუ არა მენეჯმენტის მოდულში ჯერ საფუძვლები, შემდეგ სტრატეგია და ოპერაცია.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა მის შენიშვნებს.

17:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
17:10 საათზე საბჭოს სხდომა განახლდა.

საბჭოს მოსაზრებით, სდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ მეორე სტანდარტები, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან, სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს. ასევე, საბჭომ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურებოდა 2018 წლის 15 ოქტომბერს, საბჭო აკრედიტაციის დებულების 27[5] მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითებდა 2018 წლის 15 ოქტომბერს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

9 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის", ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

საბჭოს რჩევები:

- მოხდეს პედაგოგების რესურსებიდან გამომდინარე საგნების რაოდენობის რაციონალიზაცია;
- მოხდეს ფინანსების მოდულში კურსების თანმიმდევრობის დალაგება.

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რუსუდან სეთურიძემ გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანას;
- პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად შეფასებისა, შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების ანალიზის გამოყენებისა და მთლიანად სასწავლო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, მაქსიმალურად მოკლე დროში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სრულად დანერგვის საჭროებას;

ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს პროგრამა იყო სატესტო რეჟიმში, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ სხვა ფაკულტეტზე ეს სისტემა სხვა ფაკულტეტზე უკვე ფუნქციონირებდა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია რჩევას მეტად წააგავდა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ მოცემულ საკითხზე მოთხოვნა არსებობს აკრედიტაციის სტანდარტებში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის გადამუშავებასა და შედეგების მისაღწევად პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) ცვლილებების განხორციელებას;
- რიგ კურსებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების გადახედვას (სასწავლო კურსებში: „ფინანსური სისტემა", „მმართველობითი აღრიცხვა", „საერთაშორისო ფინანსები", „საგადასახადო საქმე" და სხვ.)
- ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების მეტად მორგებას კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, კერძოდ ექსპერტები თვლიან, რომ სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა" სწავლის შედეგები უმჯობესია შეფასდეს არა სააუდიტორიო აქტივობისა და საშინაო დავალება (ქვიზის), არამედ პროექტის შესრულების მიხედვით.
- სპეციალობის სავალდებულო კურსებში ისეთი სასწავლო კურსების დამატებას, როგორებიცაა „ლოჯისტიკა", „რისკების მართვა" და „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში" (გაძლიერებული Excel-ისა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის (Access) სწავლებით).
- სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის განახლებას, რათა მასში ასახული იყოს თანამედროვე კვლევები და ტენდენციები (გაყიდვების მართვის პრინციპები (2009); საზოგადოებასთან ურთიერთობა (2006); აკადემიური წერა (2004, 2009); ალბათობის თეორია (2008); ბიზნეს ინფორმატიკა (2009); საგადასახადო საქმე (2007) და ა.შ.);
- იმ სასწავლო კურსების სილაბუსების გადამუშავების საჭიროებას, რომლის შესწავლის საშუალება სტუდენტებს აქვთ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რათა სილაბუსით გათვალისწინებული საგნის ფარგლებში შესასწავლი საკითხები იდენტური იყოს;
- ინგლისური ენის სწავლებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის დაზუსტებას და გასაგებად აღწერას საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით სასწავლო კურსებში პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების/სიმულაციების ინტეგრირებას.
- შეფასების სისტემის ყველა სილაბუსში დეტალურად ჩაშლას.
- საერთაშორისო კუთხით შეთავაზებული აქტივობების გამრავალფეროვნებასა და პერიოდულად საერთაშორისო სპეციალისტების ჩამოყვანას, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ სტუდენტებს.

- დაწესებულების მხრიდან აკადემიური პერსონალის გადამზადების საჭიროებას: სწავლის შედეგების შეფასებასა (მათი მიღწევის, გაზომვის/შეფასების საკითხებთან) და სწავლების თანამედროვე მეთოდებში.
- სწავლისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისი რესურსებით (აუდიტორიების მოწესრიგება, პროექტორებით, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა და ა.შ.) უზრუნველყოფის საჭიროებას.

ამასთან დაკავშრებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემაზე უკვე მიმდინარეობდა მუშაობა უნივერსიტეტში.

- დაწესებულების მიერ პროგრამის წარმოდგენილი სავარაუდო ბიუჯეტის გადამუშავებასა და ზრუნვას დამატებითი თანხების მოზიდვაზე.
- დაწესებულების მხრიდან უფრო მეტი ყურადღების დათმობას დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას ხარისხის უზრუნველყოფის "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლში.
- პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლის გააქტიურებას პროგრამის განვითარების პროცესში (მათ შორის პრაქტიკის ობიექტების სპექტრის გაზრდაში), სტუდენტებისათვის პრაქტიკოსებთან მეტი შეხვედრების ორგანიზება და ა.შ.

ექსპერტმა ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დამსაქმებლებთან ურთიერთობა რომ დაწყებულია, რაც გამოიკვეთა ინტერვიუებიდან. მიუხედავად ამისა სტაჟირებასთან და სხვა პრაქტიკულ საკითხევთან დაკავშირებით კიდევ მეტი ინტეგრაცია იქნებოდა საჭირო სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

სხდომის თავმჯდომარემ, ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია იყო შემოთავაზებული და სთხოვა ექსპერტს აღენიშნა, თუ რომელი მათგანი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ რიგი სასწავლო კურსები უნდა იყოს აუცილებლად სავალდებულო, რადგან პრობლემა იქმნება უკვე კვალიფიკაციაზე გასვლისა. ასევე, მისი თქმით დგას ქულების სილაბუსებში ჩაშლის საკითხიც. ასევე სავალდებულო კურსები აუცილებლად უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს, ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია წინაპირობები და ასევე შეფასების მეთოდებშიცაა საკითხები დასაზუსტებელი.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ რეალურად რეკომენდაცია დამსაქმებლების ჩართულობის შესახებ არის ხარვეზი და სთხოვა ექსპერტებს, რომ შემდეგში ასეთი სახით დაეწერათ.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ჯგუფი ამ საკითხს უყურებდა მომავლის პერსპექტივიდან და რეალურად იმას უსვამენ ხაზს, რომ საჭიროა მეტი დამსაქმებლის ჩართვა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა ამასთან დაკავშრებით თქვა, რომ ამ საკითხში საჭიროა მეტი განსხვავების დანახვა რეკომენდაციებსა და რჩევებს შორის.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ მსგავსი შთაბეჭდილება მასაც შექმნია.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა შენიშნა, რომ ვერ ხედავდა საჭიროებას იმისა, რომ ალბათობის თეორია ესწავლებინათ არა 2008 წლის სახელმძღვანელოთი არამედ უფრო თანამედროვეთი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ რიგში შეეხებოდა ინსტიტუციურ საკითხებს. მან აღნიშნა, რომ ელექტრონული სწავლების საკითხებზე უკვე მუშაობენ უნივერსიტეტში და მისი თქმით უკვე მთელი რიგი პერსონალისა და სტუდენტების პროფილები არის შექმნილი. თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ნამდვილად არ იყო გამართული სისტემა. მან ასევე აღნიშნა, რომ ნაწილობრივ გარემონტდა შენობაც. ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, მან შენიშნა, რომ სწორედ ბიზნესის მიმართულების სტუდენტები მიდიოდნენ ძირითადად მობილობით, თუმცა უფრო მეტად სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტი ცდილობს მაქსიმალური ჩართულობის დონის შენარჩუნებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სიღრმისეულად შეისწავლეს დასკვნა. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით სწავლებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მთელი რიგი აქტივობების განხორციელება, როგორიცაა პრეზენტაცია, შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეისწავლა სხვადასხვა მაგალითები და შეარჩია ისეთი სტრუქტურა, რომელიც გავიდოდა შედეგზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე არის 4 მოდული საბუღალტრო აღირცხვა, ფინანსები, მარკეტინგი და მენეჯმენტი. მან შენიშნა, რომ სტუდენტებს ასევე აქვთ 24 კრედიტის ფარგლებში თავისი კონცენტრაციის ჩამოყალიბების საშუალება. მისი თქმით, სავალდებულოდ განსაზღვრული საგნების გარეშე სტუდენტებს გაუძნელდებოდათ შესაბამის შედეგებზე გასვლა. რაც შეეხებოდა საგნების არჩევითიდან სავალდებულო მოდულში გადატანას, მან შენიშნა, რომ ისეთ საკითხები, რომ სხვადასხვა სილაბუსებში ასახული იყო შინაარსობრივად ექსპერტების მიერ შენიშნული საკითხები, როგორიც იყო ლოგისტიკა და ა.შ. ლიტერატურის საკითხთან დაკავშირებით, მან შენიშნა, რომ მაგალითად საგადასახადო საქმეში, გამომდინარე ხშირი ცვლილებებიდან, იყენებენ სტანდარტულ სახელმძღვანელოს, თუმცა ლექციების პირობებში ხდება ამ მიმართულებით მომხდარი ცვლილებების ანალიზი და შეფასებები ლექტორების მიერ. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში უკვე იყენებენ როლურ თამაშებსა და სიმულაციებს და მომავალში ამ მიმართულებით ისინი კიდევ მეტად იმუშავებდნენ. რაც შეეხება საერთაშორისო აქტივების გამრავალფეროვნებას, მან აღნიშნა, რომ ამ მიმართლებით მუშაობის დამადასტურებელი საბუთები არსებობდა. მისი თქმით, 2015 ში უნივერსიტეტმა ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მისი თქმით, ბევრი ქვეყანა მონაწილებოდა, იქ მონაწილებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები და სპეციალისტებიც. რაც შეეხება დამსაქმებლებს, მისი თქმით, ყველამ იცის, რომ მათთან ურთიერთობა ძნელია, თუმცა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს ბევრი ხელშეკრულება და კიდევ ცდილობს ურთიერთობების გაფართოებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლები უნივერსიტეტს ჰქონდა ძირითადად წარმოდგენილი საბუღალტრო მიმართულებით და უკეთესი იქნებოდა დარგების გაფართოვება.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ შენიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა საბუღალტრო საქმეში აეღოთ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიმართულებით ასწავლიდნენ საბუღალტრო საქმის საფუძვლებში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ დაწესებულებას ურჩია მარკეტინგის მიმართულებით დაემატებინათ ბრენდინგის კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მაქსიმალურად ცდილობენ ლიტერატურის განახლებას.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა თუ გაიზრდებოდა პროგრამაში პრაქტიკული ნაწილი.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, თუ რა რაოდენობის სტუდენტებს ემსახურებოდა პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 400-მდე სტუდენტი ჰყავდა ფაკულტეტს და დაამატა, რომ ბოლო პერიოდში რამდენიმე სტუდენტი გადმოვიდა აფხაზეთიდანაც.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, თუ კიდევ რა პროგრამას ახორციელებდა ფაკულტეტი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ასევე ხორციელდებოდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა.

17:45 საათზე გამოცხადდა შესვენება
18:00 საათზე განახლდა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
9 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული

,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბეტონი ელიზბარ ელიზბარაშვილი და შესაბამისად მან განაგრძო საბჭოს სხდომის ხელმძღვანელობა.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სპეციალური განათლება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სპეციალური განათლების მაგისტრი 030109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს წევრებმა სოფიკო ლობჟანიძემ და დიმიტრი ჯაფარიძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ირმა გრძელიძე სხდომაზე ჩაერთვებოდა ტელეფონის მეშვეობით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ხელს უწყობს დარგში არსებულ სპეციალისტთა დეფიციტის აღმოფხვრას. მისი თქმით, პროგრამა თანამშრომლობს უნივერსიტეტში არსებულ ბავშვის განვითარების ინსტიტუტთან და ასევე სხვადასხვა პარტნიორ სკოლებთან. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში მომხდარი ცვლილების შედეგად კრედიტების რაოდენობა 132 დან 120 კრედიტამდე შემცირდა და როგორც პრაქტიკული, ისე კვლევითი კომპონენტი. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულები არიან განათლების სამინისტრო და სხვა დაინტერესებული მხარეები. მან აღნიშნა, რომ

პროგრამის ხელმძღვანელობა ღიაა უკუკავშირის მიმართ და მისი თქმით, ეს განაპირობებს დაინტერესებული მხარეების მაღალ ჩართულობას, რაც საბოლოოდ ზრდის პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენტურობას. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები შეხვდნენ ყველა დაინტერესებულ მხარეს და ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ექსპერტის თქმით, ჯგუფს არ ჰქონია რეკომენდაციები და შემოიფარგლა მხოლოდ რჩევებით, რომლებიც ეხებოდა ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმებასა და იმ საბაკალავრო დარგების განსაზღვრას, რომელთა კურსდამთავრებულებიც მიიღებიან პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის საკმაოდ სპეციფიური და რთული პროგრამა განათლების დარგში და იკითხა, ხომ არ დაიკარგა რაიმე მნიშვნელოვანი პროგრამის კრედიტების 132 დან 120 კრედიტამდე შემცირებით.

ექსპერტმა უპასუხა, რომ არ მომხდარა მნიშნველოვანი დანაკარგები, ამოღებული იყო ძირითადად ზოგადი კურსები და აღნიშნა, რომ ამ ცვლილებამ პროგრამა აქცია ბევრად უფრო მოქნილად. მან ასევე დაამატა, რომ პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის პროგრამის ჯგუფი იყო ღია და რომ, სავარაუდოდ მომავალში მათი თანადგომით შეიქმნებოდა 60 კრედიტიანი პროგრამები, რომლებიც კონკრეტული საჭიროების მქონე სპეციალურ პედაგოგებს მოამზადებდა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულებას.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა თხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ ეპასუხათ იმავე კითხვაზე, რაც დაუსვა ექსპერტს და დამატებით იკითხა, თუ რამდენადაა შესაძლებელი სპეციალური საჭიროების ბავშვების სწავლების უნიფიცირება, რადგან მისი თქმით ერთ პროგრამის ფარგლებში პრობლემების დიდი სპექტრი იყო შემოთავაზებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული მუშაობისათვის. მან აღნიშნა, რომ პროგრამის კრედიტების 132 დან 120 მდე შემცირება ძირითადად მოხდა მასწავლებლის მომზადების პროგრამის საგნების ამოღებით, რადგან, მისი თქმით, გამოცდილებამ და სტუდენტებთან ინტერვიუებმაც აჩვენა, რომ პროგრამაზე არსებული ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს საჭირო პედაგოგიური უნარების მიწოდებასაც და ამავდროულად პრაქტიკული უნარების განვითარებასაც. მან აღნიშნა, რომ განვითარების თვალსაზრისით სპეციალური მასწავლებლის ორი კატეგორია არსებობს, ერთია ზოგადი პროფილის სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც მოეთხოვება დაწყებითი კლასების მასწავლებლის მომზადების პროგრამიდან საბაზისო უნარების სწავლების კომპეტენცია. მეორე კი არის სპეციალიზაცია, რომელშიც ზოგადი კომპეტენციებიდან გამომდინარე ხდება სპეციკური უნარების განვითარება. მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე იაზრებდნენ ვიწრო პროფილის სპეციალისტების მომზადების მნიშვნელობასაც, თუმცა დაამატა ისიც, რომ ამისათვის საჭიროა, რომ დარგი საკმარისად იყოს განვითარებული, რასაც დიდწილად ემსახურება პროგრამაში გაზრდილი კვლევითი კომპონენტიც.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ რამდენად პოპულარული იყო მოცემული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად პროგრამაზე მოტივირებული ადამიანები მოდიან, რომელთაც აქვთ პირადი გამოცდილება და ნამდვილად სურთ ცოდნის მიღება და რეალურად გაუმჯობესება ადამიანების ცხოვრებისა.

საბჭოს წევრმა ირინე გოცირიძემ იკითხა, პროგრამის მომზადებული პედაგოგები სპეციალიზებული კლასებისათვის იყვნენ განკუთვნილები თუ ტიპური კლასებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები ეფექტურად მუშაობენ საჯარო სკოლებში.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, სჭირდებოდა თუ არა სპეციალური მიდგომა ბავშვებს, რომლებიც განსაკუთრებით ნიჭიერები არიან?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა კონცენტრირებულია დიფერენცირებულ მიდგომაზე, სადაც მასწავლებელს შეეძლება იმუშაოს ყველასთან. პროგრამის კურსდამთავრებულს არ მოიაზრებენ ასისტენტ მასწავლებლად, არამედ იმად, ვინც უნდა მიეხმაროს მთავარ მასწავლებელს.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, მოიცავდა თუ არა პროგრამა მინდობით აღზრდის საკითხებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს საკითხი ცდებოდა პროგრამის კომპეტენციებს.

საბჭოს წევრმა გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ ვიწრო სპეციალიზაციაზე გასვლას სჯობდა უნივერსალური ცოდნის მქონე მასწავლებლების მომზადება.

18:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.
18:40 საათზე განახლდა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურებოდა 2018 წლის 15 ოქტომბერს, საბჭო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითებდა 2018 წლის 15 ოქტომბერს.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
9 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის", ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში 020303
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს წევრებმა სოფიკო ლობჟანიძემ და დიმიტრი ჯაფარიძემ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, ვინაიდან ისინი საქმიანობდნენ აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას, სტუდენტების ინდივიდუალური მიღწევების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების საჭიროება.
- საგნებისათვის წინაპირობების შემოტანა, ცოდნის დაშენების პრინციპის გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და შეეხო გაცემულ რეკომენდაციებს. რეკომენდაციის შესახებ, რომელიც შეეხებოდა წინაპირობების განსაზღვრას, მან ახსენა, რომ დაწესებულება ვერ დაეთანხმებოდა მოცემულ რეკომენდაციას, რადგან ეს რეკომენდაცია გამომდინარეობდა „ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმარების, იმპლემენტაციისა და შეფასების" კურსისათვის წინაპირობად კვლევის მეთოდების განსაზღვრიდან. მან აღნიშნა, რომ კურსის მიზანია, რომ სტუდენტმა ისწავლოს ის კვლევის მეთოდები, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს ჯანდაცვის პროგრამაზე მუშაობისას. მისი თქმით, ამ საგანზე კვლევის მეთოდები არ ისწავლება ისე სიღრმისეულად, როგორც მესამე სემესტრში და აღნიშნა, რომ ვერ ხედავდა კვლევის მეთოდების წინაპირობად განსაზღვრის საჭიროებას. მისი თქმით, დაწესებულება ხელმძღვანელობს იმ ლოგიკით, რომ პირველ ეტაპზე სტუდენტებს ასწავლიან რაოდენობრივ მეთოდებს, შემდეგ ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმარებას, იმპლემენტაციასა და შეფასებას, მესამე სემესტრში კი კვლევის მეთოდებს. მისი თქმით, კურსის მასალის დასაძლევად სტუდენტს არ ესაჭიროება აღნიშნული წინარე ცოდნის ქონა. ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომების შესახებ მან აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდი ხანია იყენებს ამ პრაქტიკას. მან აღნიშნა, რომ ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სამ დონეზე ჯერ ხელმძღვანელის, შემდეგ რეცენზენტის და ბოლოს დაცვის კომისიის მიერ. მისი თქმით, შეფასებები სტუდენტებისა ხდება ინდივიდუალურად და მხოლოდ ნაშრომი ფასდება ერთად რეცენზენტის მიერ.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევები, როდესაც ჯგუფის წევრები იღებდნენ განსხვავებულ შეფასებებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევები ყოფილა. მისი თქმით, იგი თავად ყოფილა როგორც ხელმძღვანელი ისე კომისიის წევრი და მისი თქმით, როდესაც კომისია სვამს დამატებით კითხვებს, იქ შეიძლება ინდივიდუალური შეფასებების მიცემა.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა ხდება თუ არა ისეც, რომ ერთმა სტუდენტმა ინდივიდუალურად მოამზადოს ნაშრომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეც ხდება, თუმცა ძირითადად 3 ადამიანი მუშაობს ერთად ერთ ნაშრომზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, თუ რამდენ კრედიტს იღებდა ჯგუფის ერთ წევრი 30 კრედიტიანი ნაშრომიდან, 10-ს თუ 30-ს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი სტუდენტი იღებდა 30 კრედიტს.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ამასთან დაკავშირებით იკითხა, ჯამურად 30 კრედიტის შრომა სჭირდებოდა ჯგუფის თითოეული წევრისაგან ნაშრომს, თუ საერთო შრომა შეადგენდა 30 კრედიტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯგუფური მუშაობა იყო ძირითადი პრაქტიკა პროგრამაზე, ხოლო ინდივიდუალურად მუშაობის შემთხვევები იყო მცირე. მისი თქმით, ხელმძღვანელები ყოველთვის სცდილობენ, რომ თითოეულმა სტუდენტმა გაწიოს 30

კრედიტის შესაბამისი შრომა და აღნიშნა, რომ ჯგუფური ნაშრომის ჩანაფიქრი იყო ის, რომ სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი ძლიერი მხარეების უფრო მეტად წარმოჩენა.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ რიგ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად, ისეთი სიტუაცია იქმნებოდა, რომ ეს ადამიანი მუშაობდა მათზე სამჯერ მეტს, ვინც მუშაობს ჯგუფურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ხშირად ატარებს კვლევებს, მათს შორის მოცემული საკითხის შესახებ და ხდება სტუდენტების მოსაზრებების გათვალისწინებაც. მან აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელმძღვანელის როლს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას და დაამატა, რომ როდესაც არის კარგი ხელმძღვანელი, იქ ხდება სამუშაოს ეფექტური განაწილება ჯგუფის წევრებს შორის. მან აღნიშნა, რომ ჯგუფური მუშაობის გამო არ ხდება წევრების მიერ ნაკლები შრომის გაწევა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნაშრომებს აკეთებენ ერთი მხრივ ერთი ადამიანი, მეორე მხრივ კი ჯგუფი, ვინ ხარჯავდა მეტ დროსა და ენერგიას, ერთი ადამიანი თუ სამი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი აპრობირებულია, უმჯობესდება წლიდან წლამდე და ვერ ჩაითვლება სისუსტედ და ნაკლოვანებად.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ იკითხა, იყო თუ არა მსგავსი მიდგომა აპრობირებული საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს მიდგომა ბიზნესის ადმინისტრირებაში იყო აპრობირებული.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ დამაბნეველი იყო ჯგუფური სამაგისტროების საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგალითად თავად იცავს ამერიკულ უნივერსიტეტში სადოქტორო ნაშრომს თანაავტორთან ერთად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კრედიტები სხვა არაფერია, გარდა დატვირთვისა.

სხდომის თავმჯდომარე, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაეთანხმა, რომ კრედიტი მხოლოდ დროის ერთეულია, რომელიც ძალიან მარტივად იზომება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სხვა პროგრამების შესახებაც ყოფილა მოცემულ თემატიკაზე მსჯელობა და დაამატა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საერთო პროგრამას გერმანულ უნივერსიტეტთან ერთად, რომელთათვისაც მოცემული პრაქტიკა იყო მისაღები და მისი თქმით, მეორე მხარის მთავარი შენიშვნა იყო ის, რომ გამიჯნულიყო მაგისტრანტთა ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური კონტრიბუცია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება უკვე მუშაობს ამ საკითხზე და ატარებენ კვლევებს.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა შენიშნა, რომ წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებთან ანალოგიები შეიძლება არ იყოს გამართლებული განსხვავებული კონტექსტის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა შენიშნა, რომ ყველაზე პრობლემური საკითხი სწორედ პირადი კონტრიბუციების გაზომვა იყო. საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ, რომელიც არ მონაწილეობდა ხმის მიცემის პროცესში, შენიშნა რომ იგივე გამოცდილება არსებობს განათლების მიმართულებითაც, მაგრამ იქ ეს პრაქტიკის კვლევის ნაწილია. მან აღნიშნა, რომ თავის გამოცდილებაში ჯგუფიდან ერთმა სტუდენტმა მაქსიმალური ქულა მიიღო, მეორემ კი მინიმალური, რადგან ერთმა გააკეთა მაქსიმუმი და მეორე არ დადიოდა შეხვედრებზე.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, თუ როგორ აისახა ეს კრედიტებზე და მიიღო თუ არა ყველამ ერთი და იგივე რაოდენობის კრედიტები.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ უპასუხა, რომ ასე მოხდა, თუმცა განსხვავებული ქულებით.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში მაქსიმალური ქულის მიმღები სტუდენტი დაიჩაგრა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ პრობლემური საკითხები კარგად ჩანს ხელმძღვანელის შეფასებაში.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ საუბარი არ მიმდინარეობდა შეფასებისა და ნაშრომის ხარისხის შესახებ, არამედ მხოლოდ დროის გაზომვაზე.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ ჯანდაცვის პოლიტიკის კურსში ერთ საათში იკითხებოდა ჯანდაცვის დაფინანსება, დაფინანსების მიზნები, დაფინანსების სამართლიანობა, სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების დონის ამაღლება, ადმინისტრაციული ეფექტურობის ხელშეწყობა, ჯანდაცვის დაფინანსების ფუნქციები, შემოსავლების მობილიზაცია, ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის მოდელები, რესურსების გაერთიანება, შემოსავლების განაწილება, სერვისების შესყიდვა, ანაზღაურების მექანიზმები და დაინტერესდა, თუ როგორ იყო ერთ საათში ამდენი საკითხის მოცვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს არის ის, თუ ზოგადად რას შეეხება პირველი ლექცია.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ ეს არ არის პირველი ლექცია და აღნიშნა, რომ შეუძლებელია ამ ყველა საკითხის მოცვა ერთ საათში და დაამატა, რომ ჯანდაცვის ფინანსებშიც ხდება მსგავსი რამ.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია დაეთანხმა ნათელა სახოკიას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯანდაცვის პოლიტიკის კურსში მოცემულია ზოგადი საკითხები და შემდეგ სხვადასხვა კურსებში ხდება მოცემული საკითხების გაშლა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, თუ სად ისწავლებოდა სტატისტიკა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მენეჯმენტის დარგში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტატისტიკა ისწავლება რაოდენობრივ მეთოდებში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ შენიშნა, რომ ეს განსხვავებული საკითხები იყო.

19:25 საათზე გამოცხადდა შესვენება.
19:40 საათზე განახლდა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებელო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

9 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის", ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

საბჭოს რეკომენდაციები:

სილაბუსის ავტორმა წარმოადგინოს ხედვა თუ როგორ ხდება სალექციო დროსთან შესაბამისობაში მოყვანა განსახილველი საკითხების სასწავლო კურსში - ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის ეკონომიკა.

ნათლად გაწერილი და დასაბუთებული აღწერა იმისა თუ როგორ შეასრულებდა სტუდენტი 30 კრედიტის დატვირთვას ინდივიდუალურად სამაგისტრო ნაშრომის ჯგუფურად შესრულების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულება უნდა გადავიდეს ინდივიდუალურ სამაგისტრო ნაშრომებზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ვინაიდან შემდეგი ორი საკითხი ერთი და იგივე უნივერსიტეტისა და დარგის პროგრამებს შეეხებოდა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ორივე საკითხზე გამართულიყო ზეპირი მოსმენა და შემდგომ გამოეცხადებინა საბჭოს გადაწყვეტილება თითოეულ მათგანზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმა.

5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

6. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე და მეექვსე საკითხების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის წევრი რომან მამულაძე სხდომაზე ჩაერთვებოდა სკაიპის მეშვეობით.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ქსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირების საჭიროებას. ჯერ პროგრამის სწავლის შედეგების და კომპეტენციების განსაზღვრას და შემდეგ პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის განსაზღვრას და მასში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმირებას.
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის ქონის საშუალებას, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმის ქონის საჭიროებას, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
- სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას თითოეული სწავლის შედეგისათვის, რომელიც დაწესებულებას მისცემს საშუალებას, განახორციელოს ეფექტური მონიტორინგი და რომელიც შემდგომში იქნება გამოყენებული პროგრამის შედეგების გასაუმჯობესებლად;
- სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტი 2 ის წინაპირობად ფინანსური მენეჯმენტი 1 ის განსაზღვრას;
- სასწავლო კურსის რისკ-მენეჯმენტი შინაარსის აგება სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოს მიხედვით და რისკ-მენეჯმენტის ძირითადი საკითხების მოცვას;
- სასწავლო კურსის „ფინანსური აქტივების შეფასება“ შინაარსისა და ლიტერატურისა ან დასახელების შეცვლას და ერთმანეთის მორგებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აგრეთვე გააცნო სამაგისტრო პროგრამის ძირითადი რეკომენდაციებიც. რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირებას. საჭიროებას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და შეფასებადი; დაწესებულებას ამ მიზნით შეუძლია იხელმძღვანელოს EQUAL (The European Quality Link (EQUAL) სტანდარტებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებისათვის;
- იმისათვის, რომ დაშვების წინაპირობები იყოს შესაბამისი და გამჭვირვალე, ნათელი და ცალსახად ინტერპრეტირებადი ჩანაწერის გაკეთებას უცხო ენის კომპონენტთან დაკავშირებით, თუ რომელი უცხო ენის კომპეტენციით განახორციელებს საგანამანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღებას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა ასეთ ენად განისაზღვროს ინგლისური ენა;
- სასწავლო კომპონენტის „პროფესიული პრაქტიკა" გადმოტანას მე-3 სემეტრში, ხოლო მე-4 სემესტრის დათმობას სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის;
- ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის განსაზღვრისას კურსის სპეციფიკის გათვალისწინებას;

აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების, მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების რუკების განსაზღვრას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შენიშვნას პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. ასევე მან აღნიშნა, რომ ნამდვილად უმჯობესი იქნებოდა თუ დაშვების წინაპირობაში იქნებოდა ინგლისური ენა, რადგან ძირითადი თანამედროვე ლიტერატურა ბიზნესის მიმართულებით სწორედ ინგლისურ ენაზე მოიპოვება. პროფესიული პრაქტიკის მე-3 სემესტრში გადატანასთან დაკავშირებით კი, მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულება თავს შეიკავებდა ამ ნაბიჯისაგან, თუმცა დაამატა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტში ჯერ კიდევ მსჯელობენ და აღნიშნა, რომ ეს კურსი წინ უსწრებდა სამაგისტრო ნაშრომს და ჩანაფიქრი იყო ის, რომ ამ კურსში შეგროვილი მონაცემები ასახულიყო სამაგისტრო ნაშრომში. რაც შეეხებოდა კრედიტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხს, ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კურსებში ეს საკითხი იყო ჩაშლილი ლექცია სემინარების რაოდენობის განსაზღვრის კუთხით, თუმცა დაამატა ისიც, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მზად იყო ამ საკითხზეც ემსჯელა. რაც შეეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების რუკას, მან აღნიშნა, რომ ეს რუკა არსებობს, თუმცა ნამდვილად არ იყო წარმოდგენილი დოკუმენტაციაში.

ბაკალავრიატის პროგრამასთან დაკავშირებთ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში კურსების სწავლის შედეგებისათვის გაწერილი იყო ადეკვატური შეფასების მეთოდები. მიზნებისა და შედეგების რუკასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მუშაობენ. სწავლის შედეგების შეფასების გეგმასთან და სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მუშაობს

ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, მისი თქმით მენეჯმენტის წინაპირობებთან დაკავშირებით იყო გაპარული ტექნიკური შეცდომა, რომელიც გასწორდა. მან ასევე აღნიშნა, რომ რისკ-მენეჯმენტის კურსი იყო სამ სახვადასხვა წყაროზე აგებული, მისი თქმით კურსის ხელმძღვანელთან იყო დიალოგი გამართული და შესაძლებელი იყო ამ კურსის კორექტირებაც. რაც შეეხება ფინანსური აქტივების შეფასების კურსს, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლად მიაჩნია კურსის სახელწოდების ცვლილება.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ რისკის მენეჯმენტი 3 წყაროზეა შედგენილი, თუმცა მესამე წყარო ჭარბობდა და ისაკლისებდა ამ საკითხის კლასიკურ თეზისებსა და კონცეფციებს, მისი თქმით უმჯობესი იქნებოდა, რომ სტუდენტებს ამ კურსში ჯერ აეთვისებინათ საბაზისო საკითხები და გადასულიყვნენ სპეციფიკურ საკითხებზე. ასევე მან აღნიშნა, რომ თავადაც მიაჩნდა, რომ ფინანსური აქტივების შეფასების კურსის სახელწოდება უნდა შეცვლილიყო, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებამ გამოთქვა კიდეც მზადყოფნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესს განიხილავენ, როგორც შესაძლებლობას და რჩევებისა და რეკომენდაციის ნაწილი იყო უკვე რეალობად ქცეული.

20:30 საათზე გამოცხადდა შესვენება
20:45 საათზე განახლდა სხდომა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
10 - მომხრე
0 -წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის", ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 3 თვე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

10 - მომხრე
0 - წინააღმდეგი

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის", ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 3 თვე.

საბჭოს რეკომენდაციები:

კურიკულუმის რუკის გამოგზავნა;

რისკ მენეჯმენტში შეტანილი იქნეს სფეროს ძირითადი თეორიები და რისკების მართვასთან დაკავშირებული სპეციფიკური თეზისები.

თავმჯდომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ლევან გორდეზიანი

მდივანი

ნათელა სახოკია